14/02/2024

MES 2 24 0000160329

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.02.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:26 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი (I, II, III)
სხდომის თავმჯდომარე: ხათუნა თოდაძე (IV)
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მისამართზე ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის მე-2 შესახვევი, №2, ნაწილობრივ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა ნაწილმა განაცხადა თანხმობა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

7. **მარინე მაისურაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ლევან ნიკოლეიშვილი -** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
10. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
11. **მარინა ქავთარაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ნინო ღაღანიძე -** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ლაშა ჩხარტიშვილი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
17. **გურანდა ჭელიძე -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
18. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და “მედიცინის სკოლის” ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (ჩაერთო ზუმით);
2. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი;
3. **მარინე გელანტია** - სს „ჩაჩავას კლინიკის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (ჩაერთო ზუმით);
4. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

6. **დავით თათოშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;
7. **ბიძინა კულუმბეგოვი** - შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის“ კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
9. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი (ჩაერთო ზუმით);
10. **ნინო შარიქაძე** - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
11. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
12. **შორენა წიკლაური** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
13. **გივი ჯავაშვილი** - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	ერვანდ საჰაკიანი Yervand Sahakyan	**ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**	პრორექტორი საგარეო საქმეთა და საერთაშორისო პარტნიორობის საკითხებში	**I, II, III**
2	კონსტანტინე იენკოიანი Konstantin Yenkoyan		მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პრორექტორი სამეცნიერო საკითხებში	**I, II, III**
3	ხაჩატურ მარგარიანი Khachatur Margaryan		პრაქტიკის დეპარტამენტის უფროსი.	**I, II, III**
4	ერეკლე კალატოზიშვილი		წარმომადგენელი	**I, II, III**
5	კონსტანტინე ჩოკორაია		წარმომადგენელი	**I, II, III**
6	კახა შენგელია	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტო	რექტორი	**IV**
7	ნინო ჯოჯუა		პრორექტორი ხარისხის უზრუნველყოფის დარგში	**IV**
8	გიორგი მახარაშვილი		პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში, მედიცინის სკოლის დეკანი	**IV**
9	ზვიად კირტავა		დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის	**IV**

			ხელმძღვანელი, პროფესორი	
10	ნინი ჩალაბაშვილი		მედიცინის სკოლის ადმინისტრაციული დირექტორი	**IV**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მიჰაი ბოროში	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
2	ნინო ჩიხლაძე		I, II, III
3	სალომე ვორონოვი		I, II, III, IV
4	ედუარდ ავაგიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
5	ჰეღინე მარტიკიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
6	აზიმ მუჰამედ მირზაზადე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	თამარ გოდერიძე		IV
8	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულ წევრთა ¾-ზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ სომხურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ სომხურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ სომხურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი მედიცინა / General Medicine
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ინსტიტუციური აკრედიტაცია
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N36, 24.12.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე საფეხური; ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	“დიპლომირებული მედიკოსი ექიმი” (MD Physician, სომხეთის რესპუბლიკა) - დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor, საქართველო)
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	სომხური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ერევანი, კორიუნის 2, RA 0025
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

მეორე საკითხი: ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	"ზოგადი მედიცინა", „General Medicine“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ინსტიტუციური აკრედიტაცია
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N36, 24.12.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე საფეხური, ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	“დიპლომირებული მედიკოსი ექიმი”(MD Physician, სომხეთის რესპუბლიკა) - დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor, საქართველო)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ერევანი, კორიუნის 2, RA 0025
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	"ზოგადი მედიცინა", „General Medicine“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ინსტიტუციური აკრედიტაცია
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N36, 24.12.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე საფეხური, ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	“დიპლომირებული მედიკოსი ექიმი” (MD Physician, სომხეთის რესპუბლიკა) - დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor, საქართველო)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ერევანი, კორიუნის 2, RA 0025
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი, მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საერთაშორისო ექსპერტი ერიკ ენდრიუ გიბსი (Eric Andrew Gibbs) მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ სომხურენოვანი, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების დასკვნები შემუშავდა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში. მისი თქმით, ცენტრმა პირველად მიიღო მონაწილეობა ასეთ აქტივობაში, რომლის პროცესი შეესაბამებოდა მათ მიერ დასახულ მიზანს. „ზოგადი მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ინგლისურ, სომხურ და რუსულ ენებზე. სასწავლო გეგმები შესაბამისობაშია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. მან აღნიშნა, რომ პროგრამების შემუშავებისას გაითვალისწინეს გლობალური და რეგიონული მოთხოვნები სტუდენტების აკადემიური და პროფესიული მაღალი დონის მისაღწევად. თითოეული პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ფუნდამენტურ ცოდნას, კლინიკურ უნარებსა და ბიოსამედიცინო კვლევებს. გარდა ამისა, პროგრამებში ინტეგრირებულია ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომლებიც მოიცავს მედიცინის ისტორიასა და ფილოსოფიას. პროგრამების სტრუქტურა აგებულია ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციის პრინციპებზე. მისი თქმით, პროგრამებში დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტების მომზადებას აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდისთვის.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია კვლევაზე, კერძოდ, მედიცინის სხვადასხვა მიმართულებით, სადაც უზრუნველყოფილია სტუდენტების აქტიური ჩართულობა. ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური პროექტები და აკადემიური წერა.

საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებულია გრძელვადიანი მოდულები, რომლებიც აქცენტირებულია კლინიკურ უნარებზე და ეთიკურ საკითხებზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კარგად ჩამოყალიბებული სტუდენტური მხარდაჭერის სისტემა. საერთაშორისო ექსპერტის თქმით, ადგილზე ვიზიტისას ჩატარდა გასაუბრებები პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან. გამოიკვეთა, რომ პროგრამები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და გათვალისწინებულია პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ გამოყენებულია თანამედროვე სწავლების მეთოდები, თუმცა უმჯობესია დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები და მოხდეს პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. გათვალისწინებულია კლასგარეშე აქტივობები, საერთაშორისო გაცვლითი შესაძლებლობები, ინფრასტრუქტურა და სიმულაციური ცენტრი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებაში თვალსაჩინოა მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, თუმცა რეკომენდებულია შიდა და გარე ხარისხის

შეფასებებში გამოყენებული იყოს უკუკავშირის გათვალისწინების უფრო მეტად სტრუქტურირებული მიდგომა, ხოლო სწავლების პროცესში ტექნოლოგიური მიღწევების ინტეგრირება. ამრიგად, სამივე პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. პროგრამების სამომავლოდ განვითარების მიზნით განისაზღვრა გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რომლებიც ეხებოდა სწავლების ხარისხს, დაინტერესებულ მხარეების ჩართულობას, პროგრამის მიზნებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, შეფასების კრიტერიუმების დახვეწას, ენის სწავლების გადახედვას, სასწავლო კურსებს შორის შესაბამისი ბალანსის დაცვასა და ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრს, საერთაშორისო ექსპერტს, მიჰაი ბოროშს (Mihaly Boros) წარმოედგინა თავისი მოსაზრებები.
საერთაშორისო ექსპერტი მიჰაი ბოროში მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ყველაფერში ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი კონსტანტინე იენკოიანი (Konstantin Yenkoyan), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, 1920 წლიდან ფუნქციონირებს „ზოგადი მედიცინის“ ფაკულტეტი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1927 წელს დაწესებულებას ჰყავდა პირველი კურსდამთავრებულები, ხოლო 1930 წელს უნივერსიტეტმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურად. 1958 წელს პირველი პლატფორმა შეიქმნა საერთაშორისო მიმართულებით. აღნიშნულ პლატფორმაზე სწავლობდნენ ინგლისურ, რუსულ და სომხურენოვანი სტუდენტები. მან აღნიშნა, რომ 2001 წლიდან შეიქმნა ცალკე, ინგლისურენოვანი მიმართულება. ამჟამად ორი ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს „ზოგადი მედიცინის“ ინგლისურენოვან პროგრამაზე. 90-იანი წლების შემდეგ უნივერსიტეტი არის მრავალფაკულტეტიანი დაწესებულება, რომელიც ატარებს ცნობილი სომეხი ექიმის - მხითარ ჰერაცის სახელს. მისი თქმით, მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება რეგიონში მედიცინის მიმართულებით. უნივერსიტეტს სრულად გაცნობიერებული აქვს სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიღების მიწოდების პასუხისმგებლობა. დაწესებულება ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნებს სწავლებაში. უნივერსიტეტში დასაქმებულია 1200 ადამიანი, ხოლო, 5000 სტუდენტიდან 3000-ზე მეტი სწავლობს „ზოგადი მედიცინის“ ფაკულტეტზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მოამზადებს ისეთ მაღალკვალიფიციურ ექიმს, რომელსაც ექნება სრული წარმოდგენა როგორც კლინიკური, ისე კვლევის მიმართულებით თანამედროვე სწავლებით. მან განაცხადა, რომ ადრე პროგრამები არ ითვალისწინებდა ტრადიციულ - მოდერნიზებულ მიდგომებს, თუმცა დღეს თვალსაჩინოა სპირალური ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას. „ზოგადი მედიცინის“ პროგრამა ითვალისწინებს მოდულებზე დაფუძნებულ განათლებას. მისი თქმით, დაწესებულება მუდმივად ცდილობს გაამდიდროს პროგრამა კლინიკური და პრაქტიკული უნარებით. კურსდამთავრებულს პრაქტიკისას კარგად უნდა ესმოდეს თანამედროვე ტენდენციები. მაგალითად, კარდიოლოგიაში თანამედროვე მიდგომა პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ისეთ საგნებს, რომლებიც გამდიდრებულია და ორიენტირებულია კვლევითი უნარებზე. გარდა

ამისა, მუდმივად მიმდინარეობს კვლევით ნაწილზე მუშაობა აკადემიური პერსონალთან მათი კვლევების ხელშეწყობისა და გამოქვეყნებების თვალსაზრისით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ზოგადი მედიცინის“ პროგრამაში არის ისეთი საგნები, რომლებიც მოიცავს შინაგან მედიცინას და ქირურგიას. ამ მოდულების გავლის შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა როგორც შინაგან მედიცინაზე, ისე ქირურგიაზე. სასწავლო გეგმა გამდიდრებულია არჩევითი საგნებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს შეუძლია მიაწოდოს ხარისხიანი განათლება სტუდენტს. უნივერსიტეტის საკუთრებაშია თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი კლინიკები კერძოდ, პედიატრიული კლინიკა 250 საწოლით და ზრდასრულების კლინიკა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება მონაწილეობას იღებს ევროპულ გრანტებში სტუდენტთა მიერ თანამედროვე სამედიცინო განათლების მიღების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში რამდენჯერმე ნახსენებია სიტყვა - „ინტეგრაცია“. მას აინტერესებდა, როგორია კურიკულუმის ინტეგრაციის ხარისხი Harden-ის სკალის მიხედვით, რომელიც თერთმეტ საფეხურს (ე.წ. ჰარდენის ”კიბე”) მოიცავს. ხათუნა თოდაძემ ასევე, კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ როგორ აპირებს უნივერსიტეტი „ინტეგრაციის“ განვითარებასა და გაუმჯობესებას. აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას „ინტეგრაციაზე“ გადასვლა დაწყებული აქვს. ეს არის არა საბოლოო, არამედ ტრანზიტოლური ფაზა. შესაბამისად, რეკომენდაციებიც ამ მიმართულებით იყო გაცემული კერძოდ, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის მიზნით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ძნელია იმის თქმა Harden-ის სკალის მიხედვით რომელ საფეხურს მოიცავს კურიკულუმის ინტეგრაციის ხარისხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ცვლილების განმსაზღვრელი იდეა იყო მისი ინტეგრირება, კერძოდ, ტრადიციული მიდგომებიდან ინტეგრირებულ მიდგომებზე გადასვლა. უნივერსიტეტს სურვილი აქვს, რომ მიაღწიოს ინტეგრაციის მაღალ დონეს. პროგრამაში გათვალისწინებულია კავშირი საგნებს შორის. შემუშავდა პროგრამის მოდულური სტრუქტურა და აღიწერა კონკრეტული მიმართულების საგნები, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა მეთოდებს იყენებდნენ კლინიკური სწავლების დროს და როგორ ეხმარება დაწესებულება აკადემიურ პერსონალს ამ მიმართულებით განვითარებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 3–4 წლის წინ დაიწყო მუშაობა. მისი თქმით, 2 წლის წინ აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები „ზოგადი ქირურგიის“, „ნევროლოგიის“ და ა. შ. მიმართულებებით. პაციენტის საწოლთან სწავლების დროს გამოიყენება კლინიკური სწავლება. ამ უკანასკნელის განვითარების მიზნით დაწესებულება იყენებს რეზიდენტურის რესურსებს. უნივერსიტეტი ახლო მომავალში გეგმავს ანატომიის მიმართულებით კლინიკური სწავლების განვითარებას. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. გარდა ამისა, დაწესებულებაში ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები.

საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის თქმით, დაწესებულება აღნიშნავს, რომ მას აქვს კარგი კლინიკური ბაზა პრაქტიკის განსახორციელებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლევითი კომპონენტი განვითარებულია უნივერსიტეტში მაღალ დონეზე. ამასთან დაკავშირებით მას აინტერესებდა, რა ეტაპზე ერთვება სტუდენტი კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად და როგორ მიმდინარეობს კვლევითი ბაზების გამოყენება სტუდენტის მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა მოიგო ევროკავშირის, კერძოდ, „ჰორაიზონის (Horizon)“ და ცენტრალური კომიტეტის გრანტი. მათი ინვესტიციების დახმარებით ხდება აღნიშნულ მიმართულებებზე მუშაობა. უნივერსიტეტს აქვს კარგად აღჭურვილი კვლევითი ცენტრი, რომლის ნახვა შესაძლებელია როგორც დაწესებულების ვებგვერდზე, ისე „Google“-ის პლატფორმაზე მოძიების შემთხვევაში. დაწესებულება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტის ჩართულობას ადრეულ ეტაპზე კვლევაში, რომელიც სწავლობს კვლევის საფუძვლებს. მაგალითად, „საზოგადოებრივი ჯანდაცვიდან“ სტუდენტს სტატისტიკა შეუძლია გადაიტანოს კვლევით საფუძვლებში. მისი თქმით, კვლევითი მიმართულება ადრე იყო პროგრამის არჩევითი კომპონენტი, თუმცა დღეს თითოეული სტუდენტისთვის სავალდებულოა.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, მეათე რეკომენდაციაში საუბარია თითოეული სასწავლო კურსების დეტალური კრიტერიუმებისა და რუბრიკების ქულების მინიჭების კორექციაზე. გარდა ამისა, მეთოთხმეტე რჩევაში საუბარია მრავალკომპონენტიან შეფასების სისტემის დანერგვაზე ყველა სასწავლო საგნისთვის. მას აინტერესებდა, რატომ გაიმიჯნა ეს საკითხი ორ ნაწილად, კერძოდ, რეკომენდაციად და რჩევად. გარდა ამისა, დამატებით აღნიშნა, რომ მეცხრამეტე რჩევა ეხებოდა შეფასების სისტემის გამარტივებას, რაციონალიზაციას და პრიორიტეტად ქცევას, რაზეც აინტერესებდა, აღნიშნული რჩევა სასწავლო კურსებს ეხებოდა თუ პროგრამის შეფასებას. აკრედიტაციის ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის პროგრესი გამოიხატა იმაში, რომ თუ აქამდე მხოლოდ ფინალური (დასკვნითი) გამოცდით შემოიფარგლებოდა ძველ კურიკულუმში საგნების შეფასება, ახალა დაწესებულება გადავიდა მულტიკომპონენტურ შეფასებაზე. ეს ძირითადად განხორციელდა ყველა საგანში, თუმცა დარჩა რამდენიმე საგანი, რომელშიც იყო ჩათვლა. შესაბამისად, რჩევები ამ მიმართულებით იყო გაცემული. მიუხედავად იმისა, რომ მულტიკომპონენტური მიდგომა იქნა უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული, პრეზენტაცია 10 ქულიანი შეფასებით დარჩა. ამ მიმართულებით რჩევა იყო, რომ დაწესებულებას შეფასების სისტემა კიდევ უფრო ჩაეშალა რუბრიკების სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტის შეფასება წარმოადგენს პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს. ამჟამად გამოიყენება არჩევითი კითხვები შეფასებაში. ასევე, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. 80%-ი ეთმობა მრავალკომპონენტიან შეფასებას, ხოლო 20%-ი სხვადასხვა შუალედურ შეფასებასა და სტრატეგიას.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა თამარ ვალიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამა სრულდება ატესტაციით. მას აინტერესებდა, რას გულისხმობს ატესტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ატესტაციის განხილვის დროს ყოველთვის ტერმინოლოგიურ გაურკვევლობას აქვს ადგილი. ატესტაცია გულისხმობს საბოლოო გამოცდას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა თავისუფალ კომპონენტს და არის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა არჩევითი კითხვებით. გარდა ამისა, ზეპირი გამოცდაც, რომელიც ეხება „ქირურგიას“, „შინაგან მედიცინას“, „გინეკოლოგიას“ და ა.შ.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, პედიატრიული საავადმყოფო, რომელიც 250 საწოლზე არის გათვლილი, არის თუ არა საკმარისი კლინიკური პრაქტიკის განსახორციელებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ფლობს 3 კლინიკას, რომელთაგან ერთ-ერთი არის პედიატრიული საავადმყოფო 250 საწოლზე გათვლილი, რომელიც არ მოიცავს მულტიპროფილურ მიმართულებებს. უნივერსიტეტი აცნობიერებს იმას, რომ 250 საწოლი არ არის საკმარისი. შესაბამისად, დაწესებულებას აფილირება აქვს სხვა პედიატრიულ საავადმყოფოებთან, სადაც ისწავლება ისეთი საგნები როგორებიცაა „ზოგადი პედიატრია“, „პედიატრიული ქირურგია“, „პედიატრიული ნევროლოგია“ და ა.შ. გარდა ამისა, დაწესებულებას 27 კლინიკასთან აქვს მემორანდუმი გაფორმებული, სადაც სტუდენტს შეუძლია პრაქტიკა გაიაროს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სამომავლოდ პაციენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით დაწესებულება გეგმავს სამედიცინო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების გაფორმებას.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტს. მას აინტერესებდა, რა გეგმები აქვს დაწესებულებას სტუდენტთა საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამედიცინო განათლებაში სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. დაწესებულება ჩართულია ევროკომისიის საგრანტო პროგრამებში. უნივერსიტეტს აქვს აღნიშნული აქტივობა, თუმცა სტუდენტთა რაოდენობრივად არ არის კარგად გამოხატული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საერთაშორისო აკრედიტაცია სტუდენტს მისცემს უფრო მეტად აქტიურად ჩართვის საშუალებას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რა თქმა უნდა, პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ბიძინა კულუმბეგოვმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორია სტუდენტთა ჩარიცხვისა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი.
ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დაამატა შეკითხვა, თუ რა მექანიზმი აქვს დაწესებულებას პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვისთვის, სთხოვა დაწესებულებას, რომ ეპასუხა ამასთან დაკავშირებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მიღება ხორციელდება სახელმწიფოს, და არა უნივერსიტეტის მიერ. სამივე პროგრამაზე 3000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტს სურს განახორციელოს პოლიტიკა სტუდენტების რაოდენობის შემცირების მიზნით. გარდა ამისა, ახლო მომავალში იგეგმება სწავლის საფასურის გაზრდაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:48
დასრულების დრო: 16:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ სომხურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 31
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 31^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ სომხურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, მაგალითად დაწესებულების ვებგვერდის ან სხვა პლატფორმების მეშვეობით, რათა გააუმჯობესოთ გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.
2. რეკომენდებულია, კლინიკურ გარემოში, პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები უკეთ კონტროლდებოდეს და უკეთ იყოს აღწერილი, რადგან უნარების შეფასების წილი (ზოგადად კლინიკურ კურსებში) დაბალია.
3. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამის ცალკეულ ფაზას შორის (მაგალითად, პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის) კავშირის მონიტორინგი, რათა ხელი შეეწყოს სწავლებისა და სწავლის შეუფერხებელ პროცესს და უზრუნველყოფილი იყოს ჰარმონია გეგმებსა და რეალობას შორის.
4. უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს პროგრამის მოდულური სტრუქტურა, განვითარდეს ინტეგრაციის დონეები (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური კომპონენტები), ყოვლისმომცველი, შეთანხმებული საგანმანათლებლო სტრატეგიის საფუძველზე.
5. უნდა გადაიხედოს მოდულების სტრუქტურა (საგნების ბმა, თემებსა და საკითხებს შორის კავშირი, წინაპირობები).
6. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი აქტივობები, პასუხისმგებლობები, ვადები და მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათი.
7. უნდა გადაიხედოს და განვითარდეს სასწავლო გეგმის რუკა და სასწავლო გეგმის ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და სპირალურ ელემენტებს შორის კავშირები.
8. რეკომენდებულია სავალდებულო და არჩევითი საგნების დაბალანსებული განაწილება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში. ასევე რეკომენდებულია 20-ზე მეტი არჩევითი კურსის შეთავაზება, როგორც ეს მითითებულია YSMU-ის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში.

9. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამა და ნათლად განისაზღვროს და გაიწეროს სასწავლო გეგმაში უნარების/კვლევითი კომპეტენციების ჩამონათვალი.
10. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს უფრო დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები ქულების მინიჭებისთვის.

რჩევები:

1. რეგულარულმა სემინარებმა ან უკუკავშირის სესიებმა სასურველია უზრუნველყონ, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, ფაკულტეტიდან დაწყებული სტუდენტების ჩათვლით, შესაბამისობაში იყოს პროგრამის მიზნებთან.
2. სამედიცინო სფეროს დინამიური ხასიათის გათვალისწინებით, სასურველია, პერიოდულად განიხილოს და განახლდეს პროგრამის მიზნები მათი მუდმივი აქტუალობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული ყველა დამსაქმებელი სრულად იცნობდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
4. სასურველია, გადაიხედოს განმავითარებელი შეფასების განრიგი და გადაიხედოს, სხვა ტერმინი უფრო ზუსტ აღწერას ხომ არ უზრუნველყოფდა.
5. სასურველია, გადაიხედოს დაწესებულების მიერ დადგენილ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები.
6. სასურველია, წაახალისდეს თანამშრომლობა სხვადასხვა პრეკლინიკური დეპარტამენტსა და კლინიკური დისციპლინების ფაკულტეტებს შორის, რათა ერთად იმუშაონ ისეთი სტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც მოიცავს პრეკლინიკური კურსების ელემენტებს და კლინიკური მედიცინის საგნებს.
7. პროგრამის სტრუქტურა სასურველია გახდეს უფრო გასაგები და ადვილად შესასრულებელი, თუკი ის წარმოდგენილი იქნება ისეთი დიაგრამით (ორგანოგრამა), რომელიც აჩვენებს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და კლინიკურ ერთეულებს, განყოფილებებს, დანაყოფებს, აფილირებულ სასწავლო საავადმყოფოებს. ამის ჩვენება შესაძლებელია უსდ-ს ვებგვერდზეც.
8. ზოგიერთ შემთხვევაში, კურსების ინგლისური სახელები ნაკლებად გასაგებია, მაგალითად - კერძო ქირურგია (Private Surgery) შეიძლება იყოს "ზოგადი ქირურგია“ (General Surgery) და ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (Topographical Anatomy and Operative Surgery) შეიძლება იყოს "ქირურგიული ანატომია და ტექნიკა“ (“Surgical Anatomy and Techniques”).
9. სასურველია, დაიხვეწოს მოდულის განმარტება.
10. სასურველია, გადაიხედოს აკადემიური საათების განაწილება.
11. სასურველია სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო ფართო გამოყენება; წაახალისეთ აქტიური სწავლების ტექნიკები, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება და ჯგუფური პროექტები.
12. ელექტრონული სწავლების მიდგომები შეიძლება უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული დიდაქტიკური კონცეფციის გასაუმჯობესებლად.
13. სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოები სტუდენტებისათვის, მაგ. არჩევითი კურსები მათთვის, ვინც მონაწილეობს სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში დეპარტამენტებში/კლინიკებში.
14. სასურველია მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა ყველა საგნისთვის.

15. სასურველია, გაგრძელდეს ERASMUS+-ის პროგრამისკენ სწრაფვა და ჩამოაყალიბეთ ორმხრივი პარტნიორობა სხვადასხვა უნივერსიტეტთან, რათა გაზარდოთ შესაძლებლობების დიაპაზონი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროგრამებში.
16. სწავლების მხრივ არსებულ სამუშაო დატვირთვასთან ერთად, სასურველია დაინერგოს სამეცნიერო და სხვა აქტივობების წლიური ნორმებიც.
17. სასურველია, გაიზარდოს რესურსები საბაზისო საგნების დეპარტამენტებისა და სიმულაციური ცენტრის/OSCE გამოცდისთვის.
18. სასურველია, მეტად გაუმჯობესდეს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობა და ინვესტიცია ჩადეთ ისეთ ინიციატივებში, რომლებიც მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და ინფორმირებულობას, განსაკუთრებით გარე დაინტერესებული მხარეების, როგორებიც არიან დამსაქმებლები.
19. სასურველია შეფასების შედეგების გამარტივება, რაციონალიზაცია და პრიორიტეტად ქცევა, შეფასების მიგნებების კონსოლიდირებისთვის სტრატეგიების შემუშავების გზით და მათი სტრატეგიული გავლენის პოტენციალის საფუძველზე, პრიორიტეტულობის მინიჭებით.
20. სასურველია, დაწესებულებამ შეისწავლოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობები შეფასების პროცესების ოპტიმიზაციაში. ეს შეიძლება მოიცავდეს მოწინავე ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებას შეფასების მიგნებების ანალიზის გასაუმჯობესებლად.
21. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შეფასების პროცესში უკვე მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე, სასურველია მეტი სტრუქტურირებული ფორუმების და პროექტების განხორციელება, სადაც აღნიშნული დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ თავიანთ უკუკავშირს. აღნიშნულის მხარდასაჭერად რეგულარულ რეჟიმში უნდა იყოს ორგანიზებული განხილვები მრგვალ მაგიდასთან და სამუშაო შეხვედრები.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 31
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 31^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, მაგალითად დაწესებულების ვებგვერდის ან სხვა პლატფორმების მეშვეობით, რათა გააუმჯობესოთ გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.
2. კლინიკურ გარემოში, პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები უკეთ უნდა კონტროლდებოდეს და უკეთ უნდა იყოს აღწერილი, რადგან უნარების შეფასების წილი (ზოგადად კლინიკურ კურსებში) დაბალია.
3. უნდა გადაიხედოს სომხური ენის სწავლება და სწავლა, მათ შორის გაიზარდოს გამოყოფილი საათები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების კომპეტენციას პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის. ასევე გადაიხედოს მოდულების სტრუქტურა (საგნების ერთმანეთთან დაკავშირება, თემებსა და საგნებს შორის კავშირი, წინაპირობები).
4. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამის ცალკეულ ფაზას შორის (მაგალითად, პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის) კავშირის მონიტორინგი, რათა ხელი შეეწყოს სწავლებისა და სწავლის შეუფერხებელ პროცესს და უზრუნველყოფილი იყოს ჰარმონია გეგმებსა და რეალობას შორის
5. რეკომენდებულია, საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სომხური ენის დამატებით არჩევით სასწავლო კურსებს.
6. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი აქტივობები, პასუხისმგებლობები, ვადები და მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათი.
7. უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს პროგრამის მოდულური სტრუქტურა, განვითარდეს ინტეგრაციის დონეები (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური კომპონენტები), ყოვლისმომცველი, შეთანხმებული საგანმანათლებლო სტრატეგიის საფუძველზე.
8. რეკომენდებულია სავალდებულო და არჩევითი საგნების დაბალანსებული განაწილება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში. ასევე რეკომენდებულია 20-ზე მეტი არჩევითი კურსის შეთავაზება, როგორც ეს მითითებულია YSMU-ის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში.
9. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამა და ნათლად განისაზღვროს და გაიწეროს სასწავლო გეგმაში უნარების/კვლევითი კომპეტენციების ჩამონათვალი.
10. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს უფრო დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები ქულების მინიჭებისთვის.

რჩევები:

1. რეგულარულმა სემინარებმა ან უკუკავშირის სესიებმა სასურველია უზრუნველყონ, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, ფაკულტეტიდან დაწყებული სტუდენტების ჩათვლით, შესაბამისობაში იყოს პროგრამის მიზნებთან.
2. სამედიცინო სფეროს დინამიური ხასიათის გათვალისწინებით, სასურველია, პერიოდულად განიხილოს და განახლდეს პროგრამის მიზნები მათი მუდმივი აქტუალობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული ყველა დამსაქმებელი სრულად იცნობდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

4. სასურველია, გადაიხედოს განმავითარებელი შეფასების განრიგი და გადაიხედოს, სხვა ტერმინი უფრო ზუსტ აღწერას ხომ არ უზრუნველყოფდა.
5. სასურველია, გადაიხედოს დაწესებულების მიერ დადგენილ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები.
6. სასურველია, წაახალისდეს თანამშრომლობა სხვადასხვა პრეკლინიკური დეპარტამენტსა და კლინიკური დისციპლინების ფაკულტეტებს შორის, რათა ერთად იმუშაონ ისეთი სტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც მოიცავს პრეკლინიკური კურსების ელემენტებს და კლინიკური მედიცინის საგნებს.
7. პროგრამის სტრუქტურა სასურველია გახდეს უფრო გასაგები და ადვილად შესასრულებელი, თუკი ის წარმოდგენილი იქნება ისეთი დიაგრამით (ორგანოგრამა), რომელიც აჩვენებს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და კლინიკურ ერთეულებს, განყოფილებებს, დანაყოფებს, აფილირებულ სასწავლო საავადმყოფოებს. ამის ჩვენება შესაძლებელია უსდ-ს ვებგვერდზეც.
8. ზოგიერთ შემთხვევაში, კურსების ინგლისური სახელები ნაკლებად გასაგებია, მაგალითად - კერძო ქირურგია (Private Surgery) შეიძლება იყოს "ზოგადი ქირურგია“ (General Surgery) და ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (Topographical Anatomy and Operative Surgery) შეიძლება იყოს "ქირურგიული ანატომია და ტექნიკა“ (“Surgical Anatomy and Techniques”).
9. სასურველია, დაიხვეწოს მოდულის განმარტება.
10. სასურველია, გადაიხედოს აკადემიური საათების განაწილება.
11. სასურველია, სავალდებულო ლიტერატურაში დაწესებულებამ გამოიყენოს საერთაშორისოდ აღიარებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო.
12. სასურველია სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო ფართო გამოყენება; წაახალისეთ აქტიური სწავლების ტექნიკები, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება და ჯგუფური პროექტები.
13. სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სომხურ ენაზე კომუნიკაციის უნარებს.
14. ელექტრონული სწავლების მიდგომები შეიძლება უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული დიდაქტიკური კონცეფციის გასაუმჯობესებლად.
15. სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოები სტუდენტებისათვის, მაგ. არჩევითი კურსები მათთვის, ვინც მონაწილეობს სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში დეპარტამენტებში/კლინიკებში.
16. სასურველია მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა ყველა საგნისთვის.
17. სასურველია, გაგრძელდეს ERASMUS+-ის პროგრამისკენ სწრაფვა და ჩამოაყალიბეთ ორმხრივი პარტნიორობა სხვადასხვა უნივერსიტეტთან, რათა გაზარდოთ შესაძლებლობების დიაპაზონი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროგრამებში.
18. სწავლების მხრივ არსებულ სამუშაო დატვირთვასთან ერთად, სასურველია დაინერგოს სამეცნიერო და სხვა აქტივობების წლიური ნორმებიც.
19. სასურველია, გაიზარდოს რესურსები საბაზისო საგნების დეპარტამენტებისა და სიმულაციური ცენტრის/OSCE გამოცდისთვის.
20. სასურველია, მეტად გაუმჯობესდეს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობა და ინვესტიცია ჩადეთ ისეთ ინიციატივებში, რომლებიც მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და ინფორმირებულობას, განსაკუთრებით გარე დაინტერესებული მხარეების, როგორებიც არიან დამსაქმებლები.
21. სასურველია შეფასების შედეგების გამარტივება, რაციონალიზაცია და პრიორიტეტად ქცევა, შეფასების მიგნებების კონსოლიდირებისთვის სტრატეგიების შემუშავების გზით და მათი სტრატეგიული გავლენის პოტენციალის საფუძველზე, პრიორიტეტულობის მინიჭებით.

22. სასურველია, დაწესებულებამ შეისწავლოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობები შეფასების პროცესების ოპტიმიზაციაში. ეს შეიძლება მოიცავდეს მოწინავე ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებას შეფასების მიგნებების ანალიზის გასაუმჯობესებლად.
23. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შეფასების პროცესში უკვე მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე, სასურველია მეტი სტრუქტურირებული ფორუმების და პროექტების განხორციელება, სადაც აღნიშნული დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ თავიანთ უკუკავშირს. აღნიშნულის მხარდასაჭერად რეგულარულ რეჟიმში უნდა იყოს ორგანიზებული განხილვები მრგვალ მაგიდასთან და სამუშაო შეხვედრები.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 31
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 31^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ერევნის მხითარ ჰერაცის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ზოგადი მედიცინის“ რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, მაგალითად დაწესებულების ვებგვერდის ან სხვა პლატფორმების მეშვეობით, რათა გააუმჯობესოთ გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.
2. რეკომენდებულია, კლინიკურ გარემოში, პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები უკეთ კონტროლდებოდეს და უკეთ იყოს აღწერილი, რადგან უნარების შეფასების წილი (ზოგადად კლინიკურ კურსებში) დაბალია.

3. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამის ცალკეულ ფაზას შორის (მაგალითად, პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის) კავშირის მონიტორინგი, რათა ხელი შეეწყოს სწავლებისა და სწავლის შეუფერხებელ პროცესს და უზრუნველყოფილი იყოს ჰარმონია გეგმებსა და რეალობას შორის.
4. უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს პროგრამის მოდულური სტრუქტურა, განვითარდეს ინტეგრაციის დონეები (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური კომპონენტები), ყოვლისმომცველი, შეთანხმებული საგანმანათლებლო სტრატეგიის საფუძველზე.
5. უნდა გადაიხედოს მოდულების სტრუქტურა (საგნების ბმა, თემებსა და საკითხებს შორის კავშირი, წინაპირობები).
6. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი აქტივობები, პასუხისმგებლობები, ვადები და მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათი.
7. უნდა გადაიხედოს და განვითარდეს სასწავლო გეგმის რუკა და სასწავლო გეგმის ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და სპირალურ ელემენტებს შორის კავშირები.
8. რეკომენდებულია სავალდებულო და არჩევითი საგნების დაბალანსებული განაწილება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში. ასევე რეკომენდებულია 20-ზე მეტი არჩევითი კურსის შეთავაზება, როგორც ეს მითითებულია YSMU-ის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში.
9. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამა და ნათლად განისაზღვროს და გაიწეროს სასწავლო გეგმაში უნარების/კვლევითი კომპეტენციების ჩამონათვალი.
10. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დანერგოს უფრო დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები ქულების მინიჭებისთვის.

რჩევები:

1. რეგულარულმა სემინარებმა ან უკუკავშირის სესიებმა სასურველია უზრუნველყონ, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, ფაკულტეტიდან დაწყებული სტუდენტების ჩათვლით, შესაბამისობაში იყოს პროგრამის მიზნებთან.
2. სამედიცინო სფეროს დინამიური ხასიათის გათვალისწინებით, სასურველია, პერიოდულად განიხილოს და განახლდეს პროგრამის მიზნები მათი მუდმივი აქტუალობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული ყველა დამსაქმებელი სრულად იცნობდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
4. სასურველია, გადაიხედოს განმავითარებელი შეფასების განრიგი და გადაიხედოს, სხვა ტერმინი უფრო ზუსტ აღწერას ხომ არ უზრუნველყოფდა.
5. სასურველია, გადაიხედოს დაწესებულების მიერ დადგენილ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები.
6. სასურველია, წაახალისდეს თანამშრომლობა სხვადასხვა პრეკლინიკური დეპარტამენტსა და კლინიკური დისციპლინების ფაკულტეტებს შორის, რათა ერთად იმუშაონ ისეთი სტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც მოიცავს პრეკლინიკური კურსების ელემენტებს და კლინიკური მედიცინის საგნებს.
7. პროგრამის სტრუქტურა სასურველია გახდეს უფრო გასაგები და ადვილად შესასრულებელი, თუკი ის წარმოდგენილი იქნება ისეთი დიაგრამით (ორგანოგრამა), რომელიც აჩვენებს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და კლინიკურ ერთეულებს, განყოფილებებს, დანაყოფებს, აფილირებულ სასწავლო საავადმყოფოებს. ამის ჩვენება შესაძლებელია უსდ-ს ვებგვერდზეც.

8. ზოგიერთ შემთხვევაში, კურსების ინგლისური სახელები ნაკლებად გასაგებია, მაგალითად - კერძო ქირურგია (Private Surgery) შეიძლება იყოს "ზოგადი ქირურგია“ (General Surgery) და ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (Topographical Anatomy and Operative Surgery) შეიძლება იყოს "ქირურგიული ანატომია და ტექნიკა“ (“Surgical Anatomy and Techniques”).
9. სასურველია, დაიხვეწოს მოდულის განმარტება.
10. სასურველია, გადაიხედოს აკადემიური საათების განაწილება.
11. სასურველია სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო ფართო გამოყენება; წაახალისეთ აქტიური სწავლების ტექნიკები, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება და ჯგუფური პროექტები.
12. ელექტრონული სწავლების მიდგომები შეიძლება უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული დიდაქტიკური კონცეფციის გასაუმჯობესებლად.
13. სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოები სტუდენტებისათვის, მაგ. არჩევითი კურსები მათთვის, ვინც მონაწილეობს სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში დეპარტამენტებში/კლინიკებში.
14. სასურველია მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა ყველა საგნისთვის.
15. სასურველია, გაგრძელდეს ERASMUS+-ის პროგრამისკენ სწრაფვა და ჩამოაყალიბეთ ორმხრივი პარტნიორობა სხვადასხვა უნივერსიტეტთან, რათა გაზარდოთ შესაძლებლობების დიაპაზონი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროგრამებში.
16. სწავლების მხრივ არსებულ სამუშაო დატვირთვასთან ერთად, სასურველია დაინერგოს სამეცნიერო და სხვა აქტივობების წლიური ნორმებიც.
17. სასურველია, გაიზარდოს რესურსები საბაზისო საგნების დეპარტამენტებისა და სიმულაციური ცენტრის/OSCE გამოცდისთვის.
18. სასურველია, მეტად გაუმჯობესდეს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობა და ინვესტიცია ჩადეთ ისეთ ინიციატივებში, რომლებიც მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და ინფორმირებულობას, განსაკუთრებით გარე დაინტერესებული მხარეების, როგორებიც არიან დამსაქმებლები.
19. სასურველია შეფასების შედეგების გამარტივება, რაციონალიზაცია და პრიორიტეტად ქცევა, შეფასების მიგნებების კონსოლიდირებისთვის სტრატეგიების შემუშავების გზით და მათი სტრატეგიული გავლენის პოტენციალის საფუძველზე, პრიორიტეტულობის მინიჭებით.
20. სასურველია, დაწესებულებამ შეისწავლოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობები შეფასების პროცესების ოპტიმიზაციაში. ეს შეიძლება მოიცავდეს მოწინავე ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებას შეფასების მიგნებების ანალიზის გასაუმჯობესებლად.
21. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შეფასების პროცესში უკვე მონაწილეობს მრავალი დაინტერესებული მხარე, სასურველია მეტი სტრუქტურირებული ფორუმების და პროექტების განხორციელება, სადაც აღნიშნული დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ თავიანთ უკუკავშირს. აღნიშნულის მხარდასაჭერად რეგულარულ რეჟიმში უნდა იყოს ორგანიზებული განხილვები მრგვალ მაგიდასთან და სამუშაო შეხვედრები.

მეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი / Medical Doctor
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი / Medical Doctor / MD
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, N2, თბილისი, 0131, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს გოდერძი ბუჩაშვილმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, გურანდა ჭელიძემ და ლაშა ჩხარტიშვილმა, ლევან ნიკოლეიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, აზიმ მუჰამედ მირზაზადე Azim Mohammad Mirzazadeh მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 20 - 23 დეკემბრის პერიოდში. მისი თქმით, 1.1, 1.2 და 1.3 კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.4 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საჭიროა კლინიკური უნარების სწავლების გაძლიერება. გარდა ამისა, პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროფესიონალიზმის უნარები. მისი თქმით, რამდენიმე სილაბუსის შესწავლისას დადგინდა, რომ ზოგიერთი კლინიკური უნარი პირველ და მეორე სემესტრში არ იყო სტუდენტის დონესთან შესაბამისი. უნივერსიტეტისთვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს სავალდებულო ლიტერატურის საკითხი. დაწესებულება უზრუნველყოფილია განახლებული ლიტერატურით, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში წარმოდგენილი იყო ძველი, კერძოდ, 2012, 2014 და 2015 წლით დათარიღებული ლიტერატურა. შესაბამისად, რეკომენდებულია სილაბუსის ცვლილება და მასში ახალი ლიტერატურის დამატება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებამ სწავლება-სწავლის მეთოდები უნდა განიხილოს სიღრმისეულად რადგან პროგრამაში გამოიყენება განმარტებითი და „Text book“-ის მეთოდი, რომელიც აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით არ არის რელევანტური. გარდა ამისა, სწავლება-სწავლის მეთოდებში აღინიშნება აქტიური მეთოდების გამოყენების ნაკლებობა. საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ განაცხადა, რომ „PBL“-ის მეთოდი გულისხმობს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს, რომელიც კარგად ჩანს პროგრამაში, თუმცა სილაბუსებში კარგად არ იყო განსაზღვრული მისი განმარტება და შეფასების დრო. გარდა ამისა, შებრუნებული საკლასო სწავლება არ იყო განსაზღვრული სილაბუსებში და გზამკვლევებში აღწერილი. შესაბამისად, ვერ მოხდა მათი დეტალურად შესწავლა. ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებამ კარგად უნდა განსაზღვროს პორტფოლიოს გამოყენება და მისი მიზანი პროგრამაში. მისი თქმით, მესამე სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. ერთ - ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ფაკულტეტის უფრო აქტიურად ჩართულობას პროგრამის განვითარებასა და საკუთარ პასუხისმგებლობების განსაზღვრის პროცესში. აუცილებელია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისათვის განისაზღვროს სპეციალური სივრცე, რომელიც არ იქნება ხელოვნური. დაწესებულებას უკვე შესყიდული აქვს და ფლობს გარკვეულ აღჭურვილობას ამ ცენტრისათვის. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში არსებული ლაბორატორიები საჭიროებს განვითარებას კერძოდ, „ბიოქიმიის“ და „მიკრობიოლოგიის“ მიმართულებით. ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა განახლებული ლიტერატურის საჭიროება. ბიბლიოთეკაში არის ახალი წიგნები წარმოდგენილი, თუმცა სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე, რომლის მიღებასაც გეგმავს უნივერსიტეტი აუცილებელია ლიტერატურის განახლება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ როდესაც ხდება პროგრამის შეფასება, ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია ეყრდნობა იმ მომენტისათვის არსებულ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, და არა უნივერსიტეტის მიერ

დაგეგმილ სამომავლო გეგმებს. მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტის მიერ აღინიშნა, რომ 5.1 და 5.3 კომპონენტი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა შესაძლებელია მათი კიდევ უფრო განვითარება. 5.2 კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს გარე შეფასებას, რაც სავალდებულო ნაწილს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის თვალსაზრისით, რეკომენდებულია განხორციელდეს გარე შეფასების უფრო შინაარსობრივი და ვრცელი შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების რექტორი, კახა შენგელია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებას ექსპერტებთან ჰქონდა დისკუსია გაცემულ რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით. ეს დისკუსია იყო, რა თქმა უნდა, როგორც პროგრამის, ისე განათლების სისტემის განვითარებისკენ მიმართული.

სამეცნიერო სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მთლიანობაში პოზიტიურია. მისი თქმით, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა მიერ პირველი რეკომენდაცია ამოღებულია და 1.3 კომპონენტი შეფასებულია როგორც სრულად შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პოლიტიკა და უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა არის კლინიკურ გარემოსთან და პრობლემებთან სტუდენტის ადრეული კონტაქტი, კერძოდ, პრეკლინიკურ ეტაპზე. სასწავლო საგნების, როგორებიცაა „პირველადი დახმარება“, „კომუნიკაციური უნარები“, „კლინიკური უნარები 1“ და „კლინიკური უნარები 2“ შეფასების მეთოდად დაწესებულება იყენებს „OSCE“ გამოცდას, რათა სტუდენტს პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაში დაეხმაროს ადრეულ ეტაპზე და მხოლოდ თეორიული სწავლებაზე არ იყოს ორიენტირებული. სასწავლო კურსის „კლინიკური უნარები 2“ დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პირველადი გაცნობა არ არის ნაადრევი. გარდა ამისა, „კლინიკური უნარები 2“-ის გავლის შემდეგ აღნიშნულ კურსში ნასწავლი ცოდნის გამყარება ხდება მეშვიდე სემესტრში „ოტორინოლარინგოლოგიის“, მერვე სემესტრში „ტრავმატოლოგიის“, „ორთოპედიასა“ და „კლინიკური უნარები 3“ კურსებში. ასევე მეცხრე სემესტრში, „კლინიკური უნარები 4“-ში, „შინაგანი მედიცინა 3“-ში და „რევმატოლოგიაში“. შესაბამისად, „კლინიკური უნარები 2“-ში შესწავლილი პრაქტიკული პროცედურები განმეორებით და უფრო ღრმად შეისწავლება მანეკენებზე და სიმულატორებზე „კლინიკური უნარების 3“ და კლინიკური უნარების 4“ სასწავლო კურსებში, რაც სპირალური სწავლების ნიმუშს წარმოადგენს. ამ ეტაპზე როგორც კლინიკურ, ისე კლინიკური უნარების საგნებში განსაზღვრულია „OSCE“ -ის შეფასების მეთოდი. მისი თქმით, უნივერსიტეტს შეეძლო აღნიშნული უნარების სწავლება დაეწყო უფრო გვიან, თუმცა არ იქნებოდა საწყის კურსებზე ამ უნარებთან სტუდენტების პირველადი გაცნობის შესაძლებლობა.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი მახარაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს სპირალური სწავლების მეთოდად მიაჩნია სტუდენტის პირველადი შეხება სწავლების საწყის ეტაპზე კლინიკასთან, რომელიც დარგობრივი მახასიათებლის ერთ - ერთ მოთხოვნას წარმოადგენს.

სამეცნიერო სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა, ზვიად კირტავამ, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. მისი თქმით, საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებელი არ აწესებს რაიმე მკაცრ რეგლამენტს ლიტერატურის და

სილაბუსების განახლებასთან მიმართებით. დასკვნაში მოცემულია 10 სახელმძღვანელო, რომლებიც ექსპერტთა მოსაზრებით ჩაითვალა მოძველებულად. ექსპერტებმა ვიზიტის დროს ნახეს უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ლიტერატურა. სტუდენტმა ექსპერტმა, გიორგი აბულაძემ, ბიბლიოთეკის თაროდან გადმოიღო წიგნი და თავმჯდომარეს, აზიმ მირზაზადეს ანახა იმის დასადასტურებლად, რომ წიგნების ნაწილი უკვე განახლებული იყო.

დაწესებულების წარმომადგენლმა, ზვიად კირტავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებული იყო შემდეგი სახელმძღვანელოები: „Physiology Guyton“ 2016, Gray's Anatomy“ 2015, „Histology“ 2013, „Harrison's Principles Of Internal Medicine“ 2018, ხოლო მათ ვიზიტის დროს ნახეს „Physiology Guyton“ 2021, „Gray's Anatomy“ 2024, „Histology“ 2021 და „Harrison's Principles Of Internal Medicine“ 2021 წლის სახელმძღვანელოები. გარდა ამისა, გარკვეული აცდენა იყო დანარჩენ წიგნებზე. მაგალითად, „Emery's Elements of Medical Genetics” 2017 წლის სახელმძღვანელოს გარდა უნივერსიტეტს აქვს გენეტიკის უფრო ახალი სახელმძღვანელო „Essentials of Genetics 10th edition“ 2020 წლის უილიამ კლუგის ავტორობით, რომელიც ექსპერტთა დასკვნაში არ აღმოჩნდა. ასევე დასკვნაში მითითებული იყო „Immunology“ 2013 წლის დევიდ მაილის ავტორობით, თუმცა ექსპერტებმა არა აღნიშნეს უფრო ახალი სახელმძღვანელო „Roitt's Essential Immunology, 13th Edition“ სახელწოდებით. გარდა ამისა, კლინიკურ უნარებს სტუდენტები სწავლობენ „Essential Procedures for Emergency Urgent and Primary Care Settings: A Clinical Companion“-ის 2022 და „The Royal Marsden Manual of Clinical Nursing Procedures 9th Edition“ 2015 წლის სახელმძღვანელოთი. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ექსპერტთა ასეთი დასაბუთების ფონზე გაცემული რეკომენდაცია არარელევანტურია. მან აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის სავალდებულო ლიტერატურის კრებული არის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე საქართველოში რადგან სახელმძღვანელოების 90% შეადგენს 2013 წლის და მომდევნო გამოცემებს, ხოლო 48% გამოცემულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველია საქართველოში, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება სამედიცინო გამომცემლობის საერთაშორისო ლიდერ კომპანიასთან კერძოდ, „McGraw Hill“-თან მათი ადგილობრივი წარმომადგენლობის მეშვეობით. აღნიშნული კომპანიის მიერ გამოცემული ლიტერატურით ხორციელდება მთელი მსოფლიოს უმაღლესი სამედიცინო განათლების პროცესი. სამეცნიერო სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მესამე და მეოთხე რეკომენდაცია მსგავსია და ერთი წინადადების ორი ნაწილის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი თქმით, დასკვნის აღწერილობით ნაწილში, მეოთხე რეკომენდაციის საფუძველი საკმაოდ მოკლედ და მკაცრად არის წარმოდგენილი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ უზუსტობას. აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ შემდეგს: „პროგრამის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ „კომუნიკაციის უნარები“ ისწავლება მხოლოდ პირველ სემესტრში. „ბიოეთიკა“ და „სამედიცინო სამართალი“ არ ჩანს არცერთ სემესტრში. „კლინიკური უნარები 2“ ისწავლება მესამე სემესტრში, რომელიც საკმაოდ დატვირთულ სემესტრს წარმოადგენს. აქცენტი კეთდება კვლევის უნარებზე, მაგრამ ნაკლებად პროფესიული უნარების განვითარებაზე.“ სამეცნიერო სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „ბიოეთიკა“ და „სამედიცინო სამართალი“ პროგრამაში ისწავლება. პროგრამის კურიკულუმში ამ საგანს ჰქვია „ქცევის უნარები“, რომელიც სავალდებულო საგანია და მოიცავს როგორც „ბიოეთიკას“, ისე „სამედიცინო სამართალს“. გარდა ამისა, უცნაურია შემდეგი ფრაზა: „კლინიკური უნარები 2“ ისწავლება მესამე სემესტრში, რომელიც საკმაოდ დატვირთულ სემესტრს წარმოადგენს.“ მისი თქმით, „კლინიკური უნარები 2“ ისწავლება მესამე სემესტრში და მოიცავს 30 კრედიტს. აღნიშნული კურსის ადრეული შესწავლა არ ეწინააღმდეგება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. დაწესებულებისათვის გაუგებარია რას ნიშნავს შემდეგი ფრაზა: „პროფესიონალიზმი და მსგავსი უნარები არ ზიანდება.“

მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი მახარაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს 22 პარტნიორი დაწესებულება, რომელთაგან ორი კვლევაზე ორიენტირებულია, კერძოდ, „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ და „ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი“. დანარჩენი 20 დაწესებულება ორიენტირებულია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. სამეცნიერო სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველა კლინიკურ საგანში, რომელშიც არის „OSCE“-ის გამოცდა, სადგურების სცენარებს შორის ყოველთვის იქნება ან კომუნიკაციური უნარები, ან ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება ან პაციენტის სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების შეფასება. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის“ და „ადამიანის გენეტიკის“ სასწავლო სილაბუსში მხოლოდ ერთი, „PBL“ სესია არ არის. გარდა საკითხების განაწილებისა, შეფასებების ნაწილში არის მითითებული დამატებითი ორი სესია. შესაბამისად, ჯამში 3 „PBL“ სესია არის, თუმცა დასკვნის საბოლოო ნაწილში ეს ხარვეზი ისევ დარჩა. სხეულის სისტემებისა და ფუნქციების მეორე საგნის სილაბუსში წერია შემდეგი: „სწავლების მეთოდად გამოიყენება „PBL“ - „CBL“ და გაწერილია ამ მეთოდების შეფასება. ორჯერ კურსის განმავლობაში და თითოეული შეფასების რუბრიკები და შეფასების ქულები. დეტალურად არის აღწერილი როგორია თითოეული სტუდენტის მიერ გასავლელი 4 ქეისი შეფასების ინდიკატორები და დონეების გრადაცია. ასევე მოყვანილია ლაბორატორიული სამუშაოს ბიოქიმიური რეაქციების მაგალითი, რომელიც ორჯერ ფასდება. აქაც გაწერილია კონკრეტული კრიტერიუმები და ქულები. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში აღწერილი აღნიშნული ჩანაწერი არის ფაქტობრივი უზუსტობა და ამაზე რეაგირება არ მოუხდენია ექსპერტთა ჯგუფს. ფაქტობრივ უზუსტობას აქვს ადგილი „შინაგანი მედიცინა 3“ სილაბუსში კერძოდ, სწავლება-სწავლის მეთოდებში მითითებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ხოლო შეფასებაში შეტანილია „CBL“-ს ოთხი სესია და სტუდენტის შეფასების დეტალები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ შებრუნებული სწავლების მეთოდი ყველა საგანში გამოიყენება. დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით ეს მეთოდი არ არის განხილული აუცილებელ გამოსაყენებელ მეთოდად. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას არ იზიარებს. პორტფოლიოს გამოყენების ინსტრუქცია მოცემულია არა მარტო პროგრამის აღწერილობით ნაწილში, არამედ ყველა სილაბუსში. გარდა ამისა, პორტფოლიო პროგრამაში გამოიყენება როგორც სწავლება-სწავლის, ისე შეფასების მეთოდად. უნივერსიტეტი გეგმავს ელექტრონული პორტფოლიოს შექმნას, რომელიც ახლო მომავალში იქნება მზად. მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამაზე ცვლილებების განხორციელების დროს დაწესებულება ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც არ ითვალისწინებს იმას თუ რამდენ პროცენტს უნდა მოიცავდეს „OSCE“. ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით „OSCE“ სავალდებულო შეფასების ნაწილი არ არის. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულებამ პროგრამა წარადგინა ცენტრში აკრედიტაციის მისანიჭებლად, თან დაურთო ხელშეკრულების ფორმები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თითოეული პერსონალის პასუხისმგებლობა. ექსპერტები დეტალურად გაეცნენ აღნიშნულ ხელშეკრულებებს. შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის გაუგებარია ასეთი რეკომენდაციის არსებობა. მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტებს უნივერსიტეტში 3 სადგური დახვდათ მოწყობილი, თუმცა ეს იყო მხოლოდ დემონსტრირებისთვის მოწყობილი, რათა მათ ენახათ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ხედვა სადგურებისა. ეს არ არის საბოლოო ვერსია. დაწესებულებას გააჩნია 12 სადგურისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს ის სტუდენტური სივრცე, სადაც მოხდება ამ სადგურების გაკეთება. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გაცემული აღნიშნული რეკომენდაცია არის მიუღებელი.

სამეცნიერო სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა, ზვიად კირტავამ მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა მესამე ლაბორატორიის აპარატურისა და მარაგების შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ეტაპზე უნივერსიტეტის რესურსი საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად. სამეცნიერო ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად დაწესებულებას დამატებითი თანამშრომლობა ექნება „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან“, „ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან“ და კლინიკა „რეიმანთან.“ აღნიშნული რეკომენდაცია არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახით უნდა იყოს მოცემული დასკვნაში. მეთერთმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ აპირებს მთავარი აქცენტი გააკეთოს ნაბეჭდ წიგნებზე. დაწესებულების მთავარი სტრატეგია არის ნაბეჭდი წიგნების მინიმალურ დონეზე დაყვანა და მათი გაციფრულება. მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, მეცამეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს ორი გარე შეფასება, თუმცა გარე შეფასების დადგენილი ფორმა უნივერსიტეტს არ გააჩნია, რადგან ამას სტანდარტები არ მოითხოვს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებს უნივერსიტეტი წელიწადში. მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, განაცხადა, რომ დაწესებულება წელიწადში აპირებს მაქსიმუმ 350 სტუდენტის მიღებას. ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. ის დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა შემდეგ რეკომენდაციაში: „აკადემიური პერსონალი სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული პროგრამაში“.

საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადემ აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა ის გარემო, რომელიც დაწესებულებაში იყო. მისი თქმით, ექსპერტებმა განახორციელეს ინტერვიუები ფაკულტეტის წევრებთან და მოინახულეს კლინიკები. უნივერსიტეტს ჰყავს ახალი ხელმძღვანელი. მედიცინის პროგრამის განხორციელება პირველად იგეგმება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ის მოსაზრებები და გამოცდილება, რომელიც აკადემიურ პერსონალს და ფაკულტეტის წევრებს აქვთ, გამომდინარეობს არა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, არამედ სხვა უნივერსიტეტის გამოცდილებიდან. შესაბამისად, ეს იგულისხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციაში.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი მახირიშვილმა, განაცხადა, რომ მოცემული პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციას. შესაბამისად, სწავლება-სწავლის ნაწილში შეუძლებელია დაწესებულებას გამოცდილება ჰქონოდა.
ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. ის დაინტერესდა, რამდენი ლაბორატორიის გაკეთებას გეგმავს ამ ეტაპზე დაწესებულება შეძენილი ინფრასტრუქტურით და რომელი მიმართულებით. სამეცნიერო სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე უნივერსიტეტს აქვს „პათოლოგიის“, „ჰისტოლოგის“, „ანატომიის“, „მიკრობიოლოგიის“, „მოლეკულური ბიოლოგიისა“ და ბიოქიმიის მიმართულებით ლაბორატორიები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ფიზიოლოგიის ლაბორატორია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ იყო გაკეთებული, თუმცა ექსპერტები გაეცნენ აპარატურის შეძენის დამადასტურებელ დოკუმენტებს. საბჭოს მოწვეულმა წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. ის დაინტერესდა, არის თუ არა შესაძლებელი „OSCE“-ის გამოყენება პირველ და მეორე სემესტრში. გარდა ამისა, რატომ არის საჭირო ერთი „PBL” ქეისის სამ ნაწილად გაყოფა. სამეცნიერო სკოლის პროგრამების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს არის ექსპერტების ხედვა, რომ არის „PBL”-ის

ერთი სესია, სადაც პრობლემების განაწილება ხდება მცირე ჯგუფებში. დაწესებულებას ცალკე აქვს აღნიშნული პრაქტიკული ნაწილი და შეფასებების ცხრილი. ამ უკანასკნელში მკაფიოდ არის მითითებული, რომ იქნება „PBL”-ის ორჯერადი შეფასება.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ივანე ჩხაიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად შესაძლებელია 2000 სტუდენტის უზრუნველყოფა კლინიკური ნაწილით საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ ცენტრს და ექსპერტებს დაწესებულებამ გაუზიარა ის ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული აქვს უნივერსიტეტს კლინიკებთან მემორანდუმის სახით. ეს ხელშეკრულებები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალს, როგორიცაა კლინიკის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის მიღება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „Excel“-ის ფაილის დოკუმენტი იმ საკითხთან დაკავშირებით თუ როგორ მოხდება სტუდენტების განაწილება კლინიკებში. ამ დოკუმენტს ექსპერტები დეტალურად გაეცნენ.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ბიძინა კულუმბეგოვმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ექსპერტების დასკვნა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რომელ რეკომენდაციებს იზიარებს დაწესებულება.

გიორგი მახარაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო რჩევის სახით. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციაში დეტალურად არის მოცემული, რომელ რეკომენდაციას იზიარებს ან არ იზიარებს დაწესებულება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 19:25

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. საბჭოს მიერ ამოღებულ იქნა რეკომენდაციები 2.2; 4.1 და 5.2 კომპონენტებიდან, ხოლო 1.5; 2.3 და 4.4 კომპონენტებში არსებული რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში, შედეგად მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2027 წლის 31 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, ასევე, მე-7 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის

„ა“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3^3 პუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 27^9 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2027 წლის 31 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით. დაწესებულებისთვის დადგენილ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა აკრედიტაციის ვადის განმავლობაში განისაზღვროს 2000-ით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მკაფიო და კარგად განსაზღვრული რუკის უზრუნველყოფა იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი შეფასების სხვადასხვა მეთოდის შედეგებს და როგორია ამ ინფორმაციის გამოყენების დეტალური პოლიტიკა და პროცედურები პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
2. რეკომენდებულია, კლინიკური უნარების სილაბუსების შინაარსის გადახედვა სტუდენტების დონესთან შესაბამისობაში მოყვანით;
3. რეკომენდებულია, კლინიკური საგნების შეფასებისას გაიზარდოს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის წილი;
4. კლინიკური ლაბორატორიები უნდა იყოს განახლებული და კარგად აღჭურვილი.

რჩევები:

1. სასურველია, აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შემუშავების პროცესში;
2. სასურველია, გაუმჯობესდეს კონცეპტუალური ჩარჩო და სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის განვითარების ურთიერთდამოკიდებულება პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპებზე;
3. სასურველია, სავალდებულო ლიტერატურის მნიშვნელოვანი განახლება სილაბუსების უმეტესობაში;
4. სასურველია, უფრო ზუსტად იქნება წარმოდგენილი კლინიკური უნარების სწავლების გრადაცია და კლინიკურ საგნებში პრაქტიკული უნარების შეძენის შესაძლებლობები;
5. სასურველია, განაწილდეს პროგრამაში კომუნიკაციის უნარების სწავლება მთელი 6 წლის განმავლობაში;
6. სასურველია, კომუნიკაციის უნარები არ ისწავლებოდეს მხოლოდ პირველ სემესტრში;
7. სასურველია, ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი ისწავლებოდეს როგორც საგნები;
8. კლინიკური უნარები II-ს ეთმობა მე-3 სემესტრი და როგორც ჩანს აღნიშნული სემესტრი საკმაოდ დატვირთულია;
9. სასურველია, სილაბუსებში სწავლებისა და სწავლის მეთოდების მნიშვნელოვანი გადახედვა დასკვნაში აღწერილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით

10. ორგანიზმის სისტემები II-ის სილაბუსის მიხედვით შეფასებებში არ გამოიყენება შეფასების აქტიური მეთოდი და სასურველია მისი დამატება;
11. სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობები;
12. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ცენტრში სასურველია იყოს კარგად ორგანიზებული, სტუდენტების რაოდენობის ადეკვატური სივრცეები;
13. სასურველია პროგრამის მიზანმიმართული და სრულფასოვანი გარე შეფასება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 06 თებერვლის 19:30 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თოდაძე ხათუნა

ელექტრონული
ფაქსიმილე